სამარხი ღორღის ფენაზე იყო მოწყობილი. მიცვალებული მარცხენა გვერდზე ძლიერ მოკრუნჩხული ესვენა. ფეხის ტერფის ძვლები თითქმის მენჯის ქვეშ ყოფილა მოქცეული, მუხლის ძვლები კი წინ იყო გამოწეული და მენჯის ზევით აწეული. მარცხენა ხელი გაჭიმული ჰქონდა ტანის გასწვრივ, ხოლო ფალანგები მარცხენა ბარძაყისა და წვივის ქვეშ ეწყო. მარჯვენა ხელი მოღუნული ყოფილა, მუცლის არეზე გადადებული და მარცხენა იდაყვზე დადებული. თავის ქალა მარცხნივ იყო გადაქანებული და ჩამტვრეული. მისი პირისახის წინ მდგარა ხელით ნაძერწი, მრგვალძირიანი, მუცელგამობერილი და ყელგამოყვანილი, მცირე ზომის, საცრემლისმაგვარი თიხის ჭურჭელი. თავის ქალასა და ამ ჭურჭელს შორის, მხრისა და ლავიწის ძვლებთან იდო თიხის ბიკონუსური კვირისტავი. გულმკერდის წინ მდგარა აგრეთვე ხელით ნაძერწი, თიხის მრგვალძირიანი ჯამი. ამგვარივე ჯამი აღმოჩენილი ყოფილა აგრეთვე კულტურულ ფენაში. მენჯის არეში მას აღმოაჩნდა ქვის ცული. გამთხრელის დღიურში აღნიშნულია, რომ იგი იყო არქაული ფორმის, დიდი ზომის და კარგად გამოყვანილი. ჩვენ მასზე ვერ ვიმსჯელებთ, რადგან იგი როგორც ცნობილია მის ფიქსირებამდე, საველე პირობებშივე დაკარგულა. დღიურიდან ირკვევა, რომ აქვე ყოფილა ქვის ბრტყელი სამაჯურის ნატეხიც.

---

[1] საგვარჯილის გათხრების საველე დოკუმენტაცია ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.

სამარხის თიხის ნაკეთობები გვიანენეოლითური ხანისაა, აქვთ მაიკოპური კერამიკის იერი და უახლოესი პარალელები გააჩნიათ, როგორც დასავლეთ საქართველოს მღვიმური ძეგლების ენეოლითურ ფენებში, ისე ყუბანისპირეთის ამავე პერიოდის ნამოსახლარების მასალებში.

საგვარჯილის სამარხის მასალას გარკვეული პარალელი მოეძებნება მოზდოკის რაიონის, ს. კომოროვოსთან აღმოჩენილი მიწაყრილიანი ყორღანის (№18) №2 ოთხკუთხა ორმოსამარხთან. მასში მიცვალებულს მკერდზე ედო პოლირებული ქვის ცული, თავთან ძვლის ოთხკუთხა ქინძისთავი, ხოლო ბაკოდაჭდეული ჭურჭლის პირი შემკული იყო მეჭეჭიანი ორნამენტით. ყორღანის მიწაყრილის ქვეშ აღმოჩნდა ოთხკუთხა ქვის სამაჯურის ფრაგმენტი. უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც საქმე გვაქვს მაიკოპური იერის სამარხთან და მსგავს დაკრძალვის რიტუალთან [17, გვ.17].

კვირისტავები და სამაჯურები დასავლეთ საქართველოს ენეოლითზე უფრო ადრეული ხანის ძეგლებიდან ცნობილი არ არის. როგორც ჩანს საქმე გვაქვს დასავლეთ საქართველოს ჯერჯერობით ყველაზე ადრეულ, ენეოლითური ხანის სამარხთან.

ყურადღებას იქცევს სამარხში კვირისტავის ჩატანების ფაქტი. მიცვალებულის დამხრობისა და ჩატანებული ცულის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ სამარხი მამაკაცს ეკუთვნოდა. კვირისტავის ჩატანების ფაქტი დადასტურდა აგრეთვე არახლოს (ნახიდური) ენეოლითურ სამარხში (№9) [21, ტაბ. XX-5], სადაც მიცვალებული მარჯვენა გვერდზე მოკრუნჩხული ესვენა (ქალის სამარხი) და ქვაცხელას სამაროვნის ქვედა იარუსის №5 სამარხში. დაკრძალული აქაც მარჯვენა გვერდზე ძლიერ მოკრუნჩხული ესვენა (ქალის სამარხი). მისი პირისახისა და გულმკერდის წინ იდგა თიხის სამყურა ქილა და წითლადშეღებილი ცალყურა ჯამი. თავის ქალასა და ამ ჭურჭლებს შორის აქაც იდო ძვლის მოზრდილი კვირისტავი [14, გვ. 25].

ქვაცხელას სამაროვნის ქვედა იარუსის სამარხეულ მასალაში ალ. ჯავახიშვილი და ლ. ღლონტი განსაკუთრებით გამოჰყოფენ რამდენიმე არქაული იერის ჭურჭელს, რომელთა ანალოგს საგვარჯილის სამარხში ხედავენ [14, გვ. 48]. კერძოდ, ქვაცხელას სამაროვნის მეორე სამარხის ნახევარსფერულ, პატარა, ბრტყელძირა, ცალყურა, ღრმა ჯამის უახლოეს პარალელად ისინი მიიჩნევენ საგვარჯილის სამარხის ჯამს. საყურადღებოა ავტორების დაკვირვება, რომ ამგვარი ჭურჭელი სრულიად უცხოა ქვაცხელებისათვის [14, გვ. 41].

ამგვარად, ჩვენ აქ ვხედავთ საგვარჯილის სამარხის ანალოგიურ დაკრძალვის რიტუალს შიდა ქართლში. კვირისტავის სამარხში ჩატანების ფაქტი საქართველოს ენეოლითში დასტურდება, როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა გვერდზე დამხრობილ სამარხებში.

საგვარჯილის სამარხის მდებარეობა გვიჩვენებს, რომ იგი მოწყობილი იყო საცხოვრებელი იატაკის ქვეშ. დაკრძალვის ეს წესი ფართოდ იყო გავრცელებუ-

ლი ჩრდილო კავკასიაში და წინააზიური ენეოლითური კულტურების მთელ არეალში, რაც წინაპართა კულტის მაშინდელ იდეოლოგიურ წარმოდგენებს უკავშირდებოდა [19, გვ. 145]. სამარხში ჩატანებული ნივთები მოწმობს იმ ქვეყნიური ცხოვრების შესახებ გარკვეული წარმოდგენების არსებობას. მიცვალებულს ატანდნენ, როგორც შრომის იარაღს და ჭურჭელს ასევე კვირისტავს, რომელსაც საკულტო-სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა.

არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ საქართველოში ენეოლითის შემდგომ პერიოდში (მტკვარ-არეზის კულტურის ძეგლებში) მატულობს დაკრძალვის რიტუალში ძვლის ან ქვის კვირისტავებისა და ბორბლისებური მრგვალბრტყელი, ცენტრში გახვრეტილი ნივთების მონაწილეობის შემთხვევები. ამგვარი ნივთები აღმოჩენილი იყო კიკეთში ბ. კუფტინისა (ქვაყრილი I, სამარხი №2) და გ. ფხაკაძის მიერ გათხრილ მტკვარ-არეზის კულტურის სამარხებში (№1, 12, 14) [11, გვ. 21, 30, 49, 54); სამშვილდის სამაროვნის №3, 6, 20, 24 სამარხებში [8, გვ. 83, 85, 90]; ამირანის გორის №24 და №36 სამარხებში [13, გვ. 36, 42] და სხვ.

ჩვენ აქ არ მოგვაქვს ამ სამარხების აღწერილობა, რადგან სამწუხაროდ აღნიშნული ნივთების სამარხებში ზუსტი მდებარეობის შესახებ ცნობები საკმაოდ მწირია. უმეტეს შემთხვევაში აღნიშნულია მხოლოდ მათი სამარხში აღმოჩენის ფაქტი. აგრეთვე ხშირია შემთხვევები, ერთი და იგივე სამარხის რამდენჯერმე გამოყენებისა და ადრინდელი ინვენტარის ადგილგადანაცვლებისა.

საგანგებოდ გვინდა შევეხოთ ამირანის გორაზე დადასტურებულ, კვირისტავებიან სამარხებს (№24 და №36) და მათი დაკრძალვის რიტუალს. ამ სამარხებს გამთხრელი ტ. ჩუბინიშვილი უჩვეულოდ თვლიდა, რადგან პირველში (სამარხი №24), მარცხენა გვერდზე დამხრობილ მამაკაცის სამარხში, სპილენძის სატევრისპირთან, კერამიკასთან და შეწირული 4 ხარის ძვლებთან ერთად აღმოჩნდა ძვლის კვირისტავი [13, გვ.40], მეორეში (სამარხი №36), მარჯვენა გვერდზე დამხრობილ აგრეთვე მამაკაცის ნალისებური ფორმის სამარხში ლითონის სატევრისპირთან, პიქტოგრაფიულ ნიშნებიან თიხის ჭურჭელთან და ხარის მსხვერპლშეწირვასთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე კვირისტავი. იმის გამო, რომ კვირისტავს ქალის ატრიბუტად, თვლიდა მას უჩვეულოდ მიაჩნდა მათი ჩატანება მამაკაცის სამარხებში. თუმცა სრულიად მართებულად ამ ფაქტს საგანგებო დაკრძალვის რიტუალს უკავშირებდა [20, გვ. 70]. იგი აღნიშნავდა, რომ მიცვალებულისათვის შეწირული ცხოველის, განსაკუთრებით კი ხარის თავ-ფეხის ჩატანება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, ზოგიერთი მამაკაცის დაკრძალვის დროს ხდებოდა [13, გვ. 40].

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ამირანის გორის გამოქვეყნებული მასალის ტაბულაზე [13, ტაბ. X-15-16] ჩანს, რომ ამ სამარხში ჩატანებული ყოფილა მრგვალ-ბრტყელი ბორბლისებური წრეები, რომლებსაც ტ. ჩუბინიშვილი კვირისტავებად მიიჩნევდა.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ბორბლის იმიტაციებთან, რომლებსაც მხოლოდ საკულტო-სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა. ხოლო ამ საგანგებო რიტუალით დაკრძალულნი იყვნენ ის პირნი, რომლებიც გარკვეულ კავშირში უნდა ყოფილიყვნენ იმ კულტთან, რომლის ემბლემასაც ეს ნივთები წარმოადგენდნენ. მათ საკრალურ შინაარსს ჩვენ ქვემოთ შევეხებით აქ კი აღვნიშნავთ, რომ სამარხში ჩატანებული კვირისტავები თუ მათთან გაიგივებული გახვრეტილი მრგვალი წრეები ქალის ატრიბუტს არ წარმოადგენდნენ, მათ საკულტო-სარიტუალო დანიშნულება ჰქონდათ და ამდენად ისინი შეიძლება შეგვხვდნენ ამ კულტთან დაკავშირებული პირების, როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ დამხრობილ სამარხებში. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ კვირისტავებიან სამარხებში განსაკუთრებული სიჭარბე შეინიშნება შეწირული მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, რაც აგრეთვე ამ რიტუალის შემადგენელი კომპონენტია.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მტკვარ-არეზის კულტურის მატარებელი ტომების მეურნეობაში, როდესაც აშკარად მატულობს მესაქონლეობის მნიშვნელობა ხშირდება საკულტო რიტუალში კვირისტავებისა და ბორბლისებური გახვრეტილი ნივთების გამოყენების შემთხვევები. ისინი ენეოლითურის მსგავსად გვხვდება, როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა გვერდზე დამხრობილ სამარხებში და როგორც ქვემოთ, სვანეთის ეთნოგრაფიული მასალებიდან დავინახავთ მათ დღემდე იყენებენ კულტმსახურებაში.

საგვარჯილეს ჩრდილო უბნის (II თხრილი) ცენტრალურ ნაწილში, ე. ი. მღვიმის წინა ფართობზე (ნიშნული 6-16) ენეოლითური ფენა 3 მ-ის სიღრმეს აღწევდა. ამ მონაკვეთში ჰუმუსის (სამარხეული) ფენის მოხსნის შემდეგ 1,65 მ სიღრმეზე გამოვლინდა დაახ. 20 მ² თიხატკეპნილი ფართობი, რომელზედაც მიმობნეული ყოფილა გვიანენეოლითური ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ცხოველთა ძვლები. ამგვარივე კერამიკული მასალა ჩატანებული იყო თვითონ იატაკში, რომელიც თიხით იყო გადალესილი და წითლად გამომწვარი. თიხატკეპნილ იატაკს ფარავდა ნაცრის შრე. ამავე მონაკვეთში, პირველი იატაკის ოდნავ ქვევით აღმოჩნდა მეორე წითლადგამომწვარი თიხატკეპნილი იატაკი (ჭრილი IV-IV).

ამავე თხრილის ჩრდილო ნაწილში გამოვლინდა პირველ (ზედა) იატაკში ჩალესილი საკულტო კერა (გამთხრელი მას ,,სამსხვერპლოს'' უწოდებდა) (სურ. 24;25). ამ ნაკეთობის შესახებ მონაცემები მოგვაქვს მისი საველე დღიურიდან.

საკულტო კერა წარმოადგენდა მღვიმის ზედაპირიდან 1,65 მ სიღრმეზე მდებარე პირველ, წითლადგამომწვარ თიხატკეპნილ იატაკში ჩაჭრილ, თიხით ნალეს წრიულ ორმოს, რომლის დიამეტრი 0,80 მ უდრიდა. სიღრმე დაახ. 18 სმ უნდა ყოფილიყო, მისი უდიდესი სისქე (გამომწვარი თიხისა) 13 სმ-ია. საკულტო კერის კიდე 7 სმ-ით შემაღლებული, ირგვლივ ამოლარული და მოგლესილი ყოფილა. ეს კერის ბორდიურია. მისი კიდე დაახ. 4 მ-ით ყოფილა დაცილებული მღვიმის კედლიდან. საკულტო კერის ირგვლივ იატაკი მთლიანად მოტკეპნილი და წითლად გამომწვარი ყოფილა, რომელიც სამხრეთ ნაწილში თანდათან

მაღლდებოდა და მთავრდებოდა აგრეთვე მოტკეპნილი, თავწაკვეთილი კონუსისებური შემაღლებით. შესაძლოა აქ პოდიუმთან გვქონდა საქმე.

საკულტო კერასთან აღმოჩენილი იყო ხელსაფქვავები, რქის თოხისნაირი იარაღი, კვირისტავები და თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხისაგან დამზადებული მრგვალ-ბრტყელი გახვრეტილი, ბორბლისებური ნივთი, რომელიც აქ კვირისტავებთან ერთად ყოფილა შეწირული.[2] ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) ამ სამსხვერპლოს შესახებ თავის დღიურში წერს: ,,გასაკვირველი ამბავია, თუ ეს მართლა სამსხვერპლოა, რატომღაა იგი საცხოვრებელი. ჩვენ აქ ხომ ვნახეთ კვირისტავები და სხვა ნივთები...“ [7]. როგორც ჩანს მან კვირისტავები და გახვრეტილი მრგვალი წრეები ე.წ. ბორბლის იმიტაციები საკულტო ნივთებად არ მიიჩნია, რომელთა გამო მას ზოგჯერ ეჭვიც კი ეპარებოდა კერის საკულტო დანიშნულებაში. იმის გამო, რომ აღნიშნული ნივთები მან საკულტო-სარიტუალო ნივთებად არ მიიჩნია, ისინი კერის გრაფიკულ ნახატზე არ დაუტანიათ. მაგრამ საერთო ჯამში მან სრულიად მართებულად განსაზღვრა კერის საკულტო დანიშნულება (მონოლითად მოაჭრევინა საკულტო კერა მუზეუმისათვის).

საკულტო კერის სამხრეთით, კიდევ სამიოდე პრაქტიკული დანიშნულების მცირე ზომის კერა დაფიქსირებულა (მათი აღწერა არსად არაა მოცემული). აქვე აღმოჩნდა ცხოველების მრავალი ძვალი. საკულტო კერის ჩრდილოეთით, მოტკეპნილი ფენიდან 1,40 მ მანძილზე, მღვიმის გამოწეულ ქიმთან გაიწმინდა პატარა კუთხე (ფართობი 1,25X0,80 მ), სადაც გამოვლინდა მრგვალყურიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, ირმის რქა, რქის სადგისი, ქვის ცულის პირი, მოშავო-მოწითალო კერამიკის ფრაგმენტები და ძვლის ნატეხები.

საკულტო კერის აღების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ მის ქვეშ დაახლ. 20 სმ სიღრმეზე (მღვიმის ზედაპირიდან დაახლ. 1,82 მ) გამოვლინდა მეორე, წითლად გამომწვარი თიხატკეპნილი იატაკი, რომელიც სიგრძეში 6 მეტრამდე ვრცელდებოდა. ზედასთან შედარებით მას უფრო დიდი ფართობი ეჭირა, თუმცა უარესად იყო მოტკეპნილი. მასში პირველის მსგავსად ჩართული იყო კერამიკის ფრაგმენტები. ამ დონეზე აღმოჩნდა მრგვალყურიანი თიხის ჭურჭლის ნატეხი, ხელსაფქვავი, ცხოველის დამტვრეული ძვლები და კაჟის მასალა. მეორე თიხატკეპნილი იატაკის დონემ პირველის ანალოგიური მასალა მოგვცა. მათ შორის დროში არსებითი განსხვავება არ შეიმჩნეოდა. ორივე კომპლექსი გვიანენეოლითურ ხანას განეკუთვნებოდა. მეორე იატაკის დონეს უკავშირდებოდა მის დასავლეთით იმავე ჰორიზონტიდან ჩაშვებული ორი ორმო, რომელთა სიღრმე 2,5 მ აღწევდა. II თხრილის IV-IV ჭრილიდან კარგად ჩანს ამ ორმოების კავშირი მეორე (ქვედა) იატაკთან.

ძეგლის გამთხრელი მეორე იატაკის დონეზეც ვარაუდობდა საკულტო კერის არსებობას. II თხრილის ჩრდილო ნაწილში 2 მ სიღრმეზე გამოვლინდა ოვალური

---

[2] ბორბლისებური ნივთის საველე № 792, საველე დავთარი №2

კერა ორი ბრტყელი ქვით შემოფარგლული. ამავე დონეზე აღმოჩნდა ორმო ნახშირითა და მიწით ამოვსებული, რომელშიც ნაპოვნი იყო გვიანენეოლითური ხანის კერამიკის ფრაგმენტები. მეორე იატაკში აღმოჩნდა ორმოების მწკრივი, რომლებსაც დაახლ. 20 სმ დიამეტრი ჰქონდა. გამთხრელი მათ საცხოვრებელი ნაგებობის საყრდენი ბოძების ორმოებად მიიჩნევდა (სურ. 22). მისივე დაკვირვებით ოთხი ორმო ერთ ხაზზე ყოფილა განლაგებული ერთი კი მათ უკან. ორ მოპირდაპირე კუთხეში ორმოები უხვევდნენ, რის გამოც იგი ვარაუდობდა კუთხეებში ორ-ორი ბოძის და შუაში ერთი დიდი დედაბოძის არსებობას. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, ფენები მღვიმის წინა ფართობზე ვერტიკალურად ყოფილა ჩაჭრილი ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე და სწორკუთხა ორმოსმაგვარად გამოყვანილი. ორმოების ჰორიზონტზე აღმოჩნდა კაჟის ისრისწვერი და ქვის სამაჯურის ფრაგმენტი. ბოძების საყრდენი ორმოების განლაგებიდან უნდა ვიფიქროთ, რომ მღვიმის შიგნით ყოფილა ხის სწორკუთხა ნაგებობა თიხატკეპნილი იატაკით და კერით, რომელიც ბოძებს ეყრდნობოდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მღვიმის II თხრილის იმ მონაკვეთში სადაც ზემოთაღნიშნული ორი იატაკის დონე აღმოჩნდა, ფენა ხელუხლებელია. მან მეტად საყურადღებო მასალა მოგვცა, როგორც სტრატიგრაფიის თვალსაზრისით ისე კულტთთან დაკავშირებუკლი საკითხების გარკვევისათვის.

საგვარჯილეში აღმოჩენილი საკულტო კერის უახლოესი პარალელია ხიზანაანთ გორის E დონის კერები, რომლებიც გარეგნულად და უნდა ვიფიქროთ, დანიშნულებითაც ძალიან წააგვანან საგვარჯილისას. ისინი აგრეთვე წარმოადგენდნენ მიწაში ჩაჭრილ, თიხით ნალეს ორმოებს, რომელთა ნალესობა იატაკზეც გადადიოდა და ქმნიდა ფართო, ოდნავ შემაღლებულ ბორდიურს. ყოველ კერაში, როგორც წესი, დამოწმებული იყო ნაცარი. ამგვარი კერების დანიშნულება მუდმივი ცეცხლის შენახვა უნდა ყოფილიყო, რაც იწვევდა კერის კულტის ობიექტად ქცევას [4, გვ. 48-49].

საგვარჯილის ენეოლითურ ფენაში მრავლად იყო აღმოჩენილი თიხის კონუსური და ბიკონუსური ფორმის კვირისტავები, რომელთა მცირე ნაწილი შემკული იყო სხვადასხვა ორნამენტით – კონუსის წვერიდან ფუძისაკენ რადიალურად დაშვებული სხივისებური ხაზებითა და ჭდეული წერტილებით (სურ. 26;3,5), აგრეთვე ფრჩხილისებური თუ სხვა სახეებით. კვირისტავები ნაპოვნი იყო აგრეთვე სხვა ენეოლითური ხანის ძეგლების კულტურულ ფენებშიც. კერძოდ, სამელე კლდეში (სურ. 26;6-8) (30 ც-ზე მეტი), თეთრ მღვიმეში (70 ც.), დანარჩენ ძეგლებში (დარკვეთი, თეთრამიწა, ჩიხორი, ძუძუანა და სხვ.) მათი რიცხვი შედარებით ნაკლებია, მაგრამ ისინი აქაც კომპლექსის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ნეოლითური ნამოსახლარებისაგან განსხვავებით, რომლებშიც კვირისტავები არ გვხვდება, ენეოლითურს ისინი ჭარბად ახასიათებს.

როგორც აღვნიშნეთ საგვარჯილეს ენეოლითურ ფენაში კვირისტავებთან ერთად ნაპოვნი იყო ქვისა და კერამიკული მრგვალ-ბრტყელი, შუაში გახვრეტილი წრეები, ბორბლის მოდელები (სურ. 26;4). ზოგ შემთხვევაში ისინი ნაკეთებია

თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხისაგან (საგვარჯილე, ჩიხორი, აბასთუმანი). ამ დისკების დიამეტრი საშუალოდ 4-6 სმ-დე მერყეობს, სისქე კი 0,5-1 სმ-დე, ნახვრეტის დიამეტრია 6-8 მმ.

ანალოგიური ნივთები აღმოჩენილი იყო ადრელითონის ხანის თითქმის ყველა ძეგლზე (სამელე კლდე, თეთრი მღვიმე, თეთრამიწა, ჩიხორი, ახალსოფელი და სხვ.). მათ ჩვენ კვირისტავებთან ვერ გავაიგივებთ, რადგან აღნიშნულ ძეგლებში მრავლადაა ნაპოვნი ნამდვილი კვირისტავები, აგრეთვე იმის გამო, რომ მათი ხვრელის დიამეტრი იმდენად მცირეა, რომ მასში თითისტარი არ ჩამაგრდებოდა. იგი გამოდგებოდა მხოლოდ ზონარისა თუ თასმის გასაყრელად.

აღნიშნულ ნივთებს მეტად ფართო პარალელები აქვთ სხვადასხვა რეგიონების ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებში. მათ აქ არ მოვიტანთ. ისინი ცნობილია ჩრდილო კავკასიის, წინააზიის, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის, ბალკანეთის, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ძეგლებიდან.

დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ამგვარ ნივთებს დღესაც ავგაროზებად იყენებენ. სამარხში ჩატანებულ და აგრეთვე საკულტო კერასთან შეწირულ კვირისტავებს და ქვისა თუ კერამიკულ გახვრეტილ დისკებს საკულტო-სარიტუალო დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

კვირისტავების პრაქტიკული დანიშნულება პირველყოვლისა, რა თქმა უნდა ძაფის რთვა-გრეხა იყო. გასარკვევი იყო მხოლოდ ნედლეულის საკითხი. ამ საკითხს სამელე კლდის მასალებზე დაყრდნობით ჯერ გ. ჯავახიშვილი [15, გვ. 25], შემდეგ კი ი. კიკვიძე [5, გვ. 155] შეეხო. ორივე, სამელე კლდეში მესაქონლეობის არსებობას გამორიცხავდა. ამიტომ ისინი კვირისტავების ფუნქციას მხოლოდ სელის გამოყენებას (გრეხას) უკავშირებდნენ. აღნიშნული მოსაზრება ემყარებოდა იმ დროისათვის ჯერ კიდევ შეუსწავლელ მღვიმეების ძვლოვან მასალას. ხოლო სამელე კლდიდან წინასწარულად განსაზღვრულ მცირეოდენ მასალაში შემთხვევით მოხვდა მხოლოდ გარეული ფაუნა (ხოლო მასში მყოფი ერთადერთი შინაური საქონლის ძვალი შემთხვევით მოხვედრილად იყო მიჩნეული). ამიტომ მეცხოველეობის როლი მღვიმურ ნამოსახლარებში ამ მკვლევართა მიერ მთლიანად გამოირიცხა. რის გამოც, მათ კვირისტავების პრაქტიკული დანიშნულება არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ვერ დაუკავშირეს მესაქონლეობას.

მოგვიანებით, როგორც ცნობილია, სამელე კლდის მთელი კოლექციისა და ასევე საგვარჯილეს, დარკვეთისა და თეთრი მღვიმის ოსტეოლოგიური მასალის შესწავლის შედეგად უცილობლად დადასტურდა ამ ნამოსახლარებზე მესაქონლეობის არსებობა. ახალი მონაცემების საფუძველზე კვირისტავები რა თქმა უნდა, მესაქონლეობას დაუკავშირდა [9, გვ. 25], ხოლო რაც შეეხება კვირისტავებზე არსებულ დეკორს, იგი მათ მიერ მართებულად, ასტრალურ სიმბოლიკად იყო მიჩნეული [15, გვ. 25; 5, გვ. 155]. როგორც კვირისტავები, ისე ბორბლის იმიტაციები ი. კიკვიძემ საკულტო ნივთებად მიიჩნია, რომლებიც ასტრალური ღვთაების – მზისადმი იყო შეწირული [5, გვ. 155-156]. ეს მოსაზრება ემყარებოდა ვ. ბარდაველიძის მიერ სვანეთის ეთნოგრაფიაში დამოწმებულ მასალას – კვი-

რისტავებისა და ბორბლის იმიტაციების მზის ღვთაებისადმი შეწირვის ფაქტს. კერძოდ, ვ. ბარდაველიძემ ფარის თემში, ს. ფარის პირდაპირ (ეცერის მიმართულებით) მდებარე თავსწორ გორაზე მიაკვლია ქალების სალოცავს – ბარბოლს, სადაც (მოსახლეობის გადმოცემით) ადრე სალოცავი ნაგებობა მდგარა. აქ ერთ ადგილზე თავმოყრილი ყოფილა ქალების მიერ ბარბოლის სახელზე შეწირული ფიქლის, კირქვისა და რკინის მრგვალი, შუაში გახვრეტილი ნივთები, მათ შორის კვირისტავებიც. აქედან უდავოდ ჩანს, რომ კვირისტავებს და ბორბლის იმიტაციებს საკულტო დანიშნულებაც ჰქონიათ, რომ ბარბარ-ბარბალე ქართველთა უძველესი ქალღვთაებაა, რომელშიც შერწყმულია მზისა და ნაყოფიერების ღვთაებები [1, გვ.19]. იგი სიცოცხლის განახლების სიმბოლოც უნდა ყოფილიყო.

ვ. ბარდაველიძემ სვანეთის ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე დაადგინა, რომ მზის ღვთაების კულტი თავდაპირველად ძირითადად მსხვილფეხა საქონლის მფარველი ღვთაება იყო [1, გვ. 8].

ეს მასალა მეტად საინტერესოდ გვეჩვენება, რადგან ჩიხორში (თერჯოლის რ-ნი) მუშაობისას ჩვენ დავამოწმეთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მსხვილფეხა საქონელს კისერზე ავგაროზებად ჰკიდებდა მრგვალ, გახვრეტილ ქვებსა თუ გახვრეტილ კერამიკულ წრეებს, რომლებსაც მათი მფარველის ფუნქცია ეკისრებოდა, ხოლო ჩიხორის ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის გათხრის დროს აღმოჩენილ მრგვალ, გახვრეტილ კერამიკულ წრეებს ადგილობრივი მცხოვრებნი საქონლის საკიდებად მიიჩნევდნენ.

ამგვარად, მიგვაჩნია, რომ ზემო იმერეთში გათხრილ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურულ ფენებში აღმოჩენილი კვირისტავების ერთ ნაწილს გარდა პრაქტიკული დანიშნულებისა (ძაფის რთვა-გრეხა), ჰქონდა აგრეთვე საკულტო-სარიტუალო დანიშნულებაც, ისინი საქონლის მფარველ, ნაყოფიერების ღვთაების სახელზე შეიწირებოდა. კვირისტავები საკულტო საგნებია გარკვეული ასტრალური ღვთაებისადმი – მზისადმი შენაწირი [5, გვ.155–156] ხოლო კვირისტავებთან ერთად აღმოჩენილ ქვისა თუ კერამიკულ მომრგვალო გახვრეტილ გორგოლაჭებს, ანუ როგორც მათ ბორბლის იმიტაციებს უწოდებენ მხოლოდ საკულტო-სარიტუალო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ისინი უკავშირდებოდნენ მესაქონლეობის მფარველ ღვთაებას, ნაყოფიერებისა და მზის კულტს და მაგიური დანიშნულება უნდა ჰქონოდათ [5, გვ. 157].

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ნივთების სიჭარბე სწორედ იმ ძეგლებზე გვხვდება, სადაც უკვე უდავოდ საბუთდება საკმაოდ განვითარებული მეცხოველეობა („საგვარჯილე“, თეთრი მღვიმე, დარკვეთი, ჩიხორი).

კვირისტავებს და ბორბლის იმიტაციებს, რომ მესაქონლეობის მფარველ, მზის ღვთაებასთან ჰქონდა კავშირი, ამას მოწმობს აგრეთვე ი. კვიციანის მიერ სვანეთში, ტვებიშში დამოწმებული მასალა. კერძოდ, ამ სოფლის დასავლეთით მდგარ დიდ იფნის ხეზე მას დაუდასტურებია ჩამოკიდებული კვირისტავების რამდენიმე აცმა, ამავე ხის ძირში მდგარ ბაზილიკის ნიშებში კი მრავლად უნახავს

შეწირული კვირისტავები და ქვასანაყის მაგვარი ქვები. იფნის ხის მახლობლად მოწყობილი ყოფილა ფიქლით გადახურული კერა. აქ, როგორც ჩანს, უძველესი წარმართული სალოცავი ყოფილა, რომელთანაც საკულტო რიტუალები სრულდებოდა. ამ სალოცავში, ივნისის თვეში, ახალ მთვარეზე იკრიბებოდნენ მხოლოდ ქალები. დღეობა ეძღვნებოდა მსხვილფეხა საქონლის, კერძოდ ფურების გამრავლება-ნაყოფიერებას. ქალები, რომლებსაც ჰყავდათ პირველი ხბომოგებული ფური, მის პირველ ჩამონაწველ რძის ცვარს გაატარებდნენ ამ რიტუალისათვის საგანგებოდ განკუთვნილი კვირისტავის ნახვრეტში და მიწას დააწვეთებდნენ, შემდეგ კი კვირისტავს მრგვალ კვერთან ერთად შესწირავდნენ ღვთაება ბარბოლს, რომელსაც საქონლის გამრავლებას და სისალეს შესთხოვდნენ. აგრეთვე საინტერესოა, რომ ამ ქალებიდან სამი უხუცესი ქალი შესაწირავი კვერებით (ლემზირებით) და მათზე დაწყობილი კვირისტავებით აღმოსავლეთისაკენ ხელებაპყრობილნი შესთხოვდნენ მზის ღვთაებას – ბარბოლს ამ კვირისტავების პატრონის ფურების გამრავლებას, ნაყოფიერებასა და თვინიერებას. კვირისტავი უკავშირდებოდა ქალურ ბუნებასა და მზეს. იგი ბარბოლის – მზის ღვთაების ერთ-ერთ ატრიბუტადაცაა მიჩნეული [3, გვ. 68].

ეს ქალღვთაება თავდაპირველად, განსაკუთრებით ენეოლითის ხანაში მესაქონლეობის მფარველი და ნაყოფიერების ღვთაება უნდა ყოფილიყო, რომელთან დაკავშირებული რიტუალი საკულტო კერასთან უნდა შესრულებულიყო, რისი დასტურიც შეიძლება იყოს საგვარჯილეს საკულტო კერასთან აღმოჩენილი კვირისტავები და ბორბლის იმიტაციები. ეს მითუმეტეს საფიქრებელია, რომ საგვარჯილეში კარგად დასტურდება საკმაოდ განვითარებული მესაქონლეობა. დროთა ვითარებაში ამ ღვთაებას სხვა ფუნქციებიც შეუძენია.

მოტანილი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, რომ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში ასეთ რიტუალს ძირითადად ასრულებდნენ ის ტომები, რომლებსაც უკვე ჰქონდათ მესაქონლეობა, რომ მზის ქალღვთაება თავდაპირველად ქართველ ტომებში მესაქონლეობის მფარველი ყოფილა.

მზის სიმბოლურ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს საგვარჯილის დეკორიანი კვირისტავები (სურ. 26) კონუსის წვერიდან ფუძეზე დაშვებული ცხრა-ცხრა რადიალური სხივით. ასევე ცხრა სხივი აქვთ სამელე კლდის ორ კვირისტავს მათგან ერთ-ერთზე (სურ. 26) ბორჯღალია გამოსახული, რომელიც მბრუნავი მზის გამოსახულებად ითვლება. მასზე თავისუფლად დაეტეოდა მეათე სხივი (ადგილი იმდენია), მაგრამ როგორც ჩანს გამიზნული იყო მხოლოდ ცხრა სხივი. სამელე კლდის მესამე კვირისტავზე (ტაბ. 157) ი. კიკვიძის აზრით სვასტიკისებური გამოსახულებაა [5, გვ. 157] (სურ. 26,7). ჩვენი აზრით ის შესაძლოა კიდევაც წარმოადგენდეს სვასტიკის პროტოტიპს, მაგრამ საინტერესოა ის, რომ ამ სიმბოლოს კაპებში ცხრა ტეხილი ხაზი მონაწილეობს. ამასთანავე ამ გამოსახულების ერთი კაპი გახსნილია, რომელიც თავისუფლად შეიძლებოდა შეკრულიყო მეათე ხაზით, მაგრამ შესაძლოა აქაც გამიზნული იყო მხოლოდ ცხრა სხივი. ბორჯღალი, როგორც აპოთროპეული ნიშანი სვანეთში დასტურდება საქონლის

სადგომების ტიხრებზე. ამ ორნამენტის გამოყვანისას ლოცულობდნენ ბარბოლის სახელზე [10, გვ. 29]. ასტრალური ნიშანი გამოსახულია აგრეთვე ქვაცხელას I ფენაში აღმოჩენილ მრგვალ-ბრტყელ ქვაზე, რომელზედაც ამოკვეთილია ცენტრიდან გამომავალი ცხრა რადიალური სხივი (სურ. 26). შესაძლოა, უკვე თანდათან ხდებოდა რიცხვი ცხრის საკრალურად ქცევა (ცხრათვალა მზე, ცხრა წყარო, ცხრა მუხა და სხვ.).

მზის კულტს მიაწერს ი.კიკვიძე მტკვარ-არეზის კულტურის ძეგლებზე კვირისტავების შედარებით სიჭარბეს. აღნიშნული მოსაზრების მკაფიო დამადასტურებელია მის მიერ ხიზანაანთ გორის E დონის ნამოსახლარზე დამოწმებული ზუსტი არქეოლოგიური პარალელი ვ. ბარდაველიძის მიერ სვანეთში (ფარის თემში) მიკვლეული მზის ქალღვთაების (ბარბოლის) სალოცავისა, სადაც ქვის რკალურ წყობასთან აღმოჩენილი იყო კირქვისა და თიხის კვირისტავები, ბორბლის მოდელები და აგრეთვე თიხის ჭურჭლის გვერდის წრიული, ცენტრში ბოლომდე გაუხვრეტავი ნატეხები [5, გვ. 156-157].

საგვარჯილის მასალები მკაფიოდ მოწმობენ, რომ ენეოლითის ხანის საკულტო რიტუალში კერას საგანგებო ფუნქცია ჰქონდა. იგი ემსახურებოდა ნაყოფიერების კულტის რიტუალს. მისი მთავარი დანიშნულება, როგორც ცნობილია უქროში ცეცხლის შენახვა იყო, რაზედაც მიუთითებს ნაცრით შევსებული კერა და ნაცრის სქელი შრე, რომელიც მოტკეპნილ და წითლადგამომწვარ იატაკს ედო ზემოდან. უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც ნაცარი შულავერის ნამოსახლარის მსგავსად წმინდად ითვლებოდა, რომელიც შორს არ გაჰქონდათ და იატაკზე იგლისებოდა.

ამგვარად, საგვარჯილის სამარხში ჩატანებული და საკულტო კერასთან შეწირული კვირისტავები და გახვრეტილი მრგვალი წრეები კიდევ ერთი არქეოლოგიური საბუთია იმისა, რომელიც ადასტურებს ვ. ბარდაველიძის მიერ ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე მიღებულ დასკვნას, რომ მზის ქალღვთაების კულტი თავდაპირველად მსხვილფეხა საქონლის, უნდა ვიფიქროთ, საერთოდ შინაური საქონლის მფარველი, ნაყოფიერების ღვთაება იყო [1, გვ. 8], რომ საგვარჯილის მასალების შუქზე არქეოლოგიურად საბუთდება ნაყოფიერებისა და მზის კულტის არსებობა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში.

მღვიმეების ენეოლითური ფენების ძვლოვანი მასალების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ პერიოდის ტომთა მეურნეობაში ნადირობას ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უნდა ვიფიქროთ, რომ მუდმივ ცეცხლთან სრულდებოდა შინაური საქონლისა და ნადირობის მფარველი ღვთაებისადმი მიძღვნილი საკულტო რიტუალები, რისი დამამტკიცებელიცაა კერასთან ნაპოვნი საკულტო საგნები: ასტრალური სიმბოლიკის შემცველი კვირისტავები და ბორბლის იმიტაციები, საკულტო ცხოველების ძვლები, ირმისა და ხარის რქები და მათგან ნაკეთები სამეურნეო იარაღები, კაჟის შუბისპირები.

როგორც ცნობილია, ირემს ნაყოფიერების კულტს უკავშირებენ, მისი რქების საკულტო რიტუალში გამოყენება უკვე ცნობილია საქართველოს ეთ-

ნოგრაფიული მასალებიდან, რასაც არქეოლოგიურად უნდა ასაბუთებდეს დარკვეთის ეხის ენეოლითურ კერაში აღმოჩენილი ირმის დიდი რქა.

კულტთან დაკავშირებული ენეოლითის ხანის პარალელური მასალა გამოვლენილი იყო აგრეთვე თეთრი მღვიმის ე. წ. ,,სარიტუალო დარბაზში'' [2, გვ. 9]. აქ გამოვლინდა თიხატკეპნილი იატაკის ფრაგმენტები და მასზე გამართული წრიული ფორმის, დაახ. 30 სმ დიამეტრის მქონე კერები, რომლებშიც მხოლოდ ნახშირი დადასტურდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ კერების დანიშნულება აქაც მუდმივი ცეცხლის შენახვა იყო, რომელთანაც სრულდებოდა ნაყოფიერებისა და მზის ღვთაებისადმი მიძღვნილი რიტუალი. ეს მითუმეტეს საფიქრებელია, რომ ამ კერებთან ნაპოვნი იყო ორნამენტირებული კვირისტავები, თიხის მრგვალი, იმიტაციური ,,კვერები'', ცხოველების (ხარი, ცხვარი) დამტვრეული ტერაკოტული ფიგურების ფრაგმენტები, თიხისაგან ნაძერწი ხარის რქა და თავი, რიყის ქვისა თუ თიხის ფალოსები, შინაურ ცხოველთა ძვლები. თიხის კვერებს ნაყოფიერების კულტს უკავშირებენ [5, გვ. 164].

როგორც ვხედავთ, თეთრი მღვიმის ენეოლითური ფენის არქეოლოგიური მასალებიც მიუთითებენ ხარის კულტის, ნაყოფიერებისა და მზის ქალღვთაების კულტის არსებობაზე.

საგვარჯილის ენეოლითურმა ფენამ მოგვცა აგრეთვე ხარის კულტთან დაკავშირებული მასალაც. მეორე თხრილის მოტკეპნილ იატაკზე, კერის ფენაში ნაპოვნი იყო პლატფორმაზე მდგარი ხარის რქა.

საგვარჯილეში ქალის თიხის მცირე ქანდაკებები ნაპოვნი არ ყოფილა. სამაგიეროდ მღვიმის ზედა ფენაში (I მ სიღრმეზე) აღმოჩენილია მოწითალოდ გამომწვარი მამაკაცის ტერაკოტული ქანდაკება და ქვის ფალოსი (ტაბ. XXII 5,6; სურ. 26; 1-2), რაც ამ პერიოდში მამაკაცის როლის გაზრდილ მნიშვნელობაზე უნდა მეტყველებდეს.

საგვარჯილის მამაკაცის ქანდაკება გამოსახულია განიერი მხრებით და მკვეთრად შევიწროებული წელით, გულმკერდზე ორივე მხრიდან ზონარი ეშვება, მაგრამ სად თავდება იგი ძნელი სათქმელია, რადგან ზედაპირი გულმკერდზე ატკეცილია. ზურგის მხარე გლუვია.

ჩვენი აზრით, ეს ქანდაკება ეკუთვნის ენეოლითის ხანაში ხმელთაშუაზღვისპირეთში, წინა და მცირე აზიაში გავრცელებული ქანდაკების ტიპს, რომლებსაც მხრიდან გულმკერდზე რელიეფური ან ამოღარვით შესრულებული სარტყელი მიუყვება. ზოგჯერ ეს სარტყელი ზურგზეც გადადის.

აღნიშნული ტიპის თიხის მცირე ქანდაკებები ან ამგვარივე გამოსახულებები თიხის ჭურჭლებზე ცნობილია მეშოკოს ნამოსახლარიდან (ყუბანისპირეთი), ტროა II-დან, ტროა V-დან, არპაჩიადან (შუამდინარეთი), უზერლიკ-თეფედან (აზერბაიჯანი). ეს ქანდაკებები სხვადასხვა სახისაა, არის მათ შორის ანთროპომორფულიც (ტროა II-V), მაგრამ მათ ყველას აკავშირებს მხრიდან გულმკერდზე ჩამოშვებული სარტყელი ან ზონარი, რომელიც ხშირად დაშტრიხულია. ადამიანის თიხის ქანდაკებები მხრიდან დაშვებული სარტყლით მესოპოტამიაში ნაპოვნი ყოფილა უბეიდის პერიოდის ძეგლებში (ური, ურუქი) [18, გვ. 130].

მიჩნეულია, რომ ამგვარი ქანდაკებები გარკვეულ დატვირთვას ატარებდნენ და, რომ ისინი სამხრეთის რეგიონებშია წარმოქმნილი [18, გვ. 131]. ყველაზე ადრეული ქანდაკებები ნაპოვნია არპაჩიაში, შედარებით გვიანდელები მაიკოპის კულტურის სინქრონულები კი – მცირე აზიიდანაა ცნობილი. ა. ფორმოზოვი თვლის, რომ ქანდაკების ეს სახე მცირე აზიიდან ტროა II-ის ტიპის ძეგლებიდან შემოვიდა ყუბანისპირეთში [18, გვ. 131]. საფიქრებელია, რომ საგვარჯილის ქანდაკებაც ანარეკლი იყოს ამ ტიპის ძეგლებისა. მითუმეტეს, რომ საგვარჯილის ენეოლითური ფენის მთელი კომპლექსი დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს მაიკოპის კულტურის ძეგლების მასალებთან. ამგვარ ქანდაკებებს და გამოსახულებებს უკავშირებენ ნაყოფიერების სამიწათმოქმედო კულტებს [16, გვ. 204-275].

ი. კიკვიძე თვლიდა, რომ ამ პერიოდში ფეხს იკიდებს მეორე ღვთაების – მამაკაცური ბუნების, მთვარის კულტი [5]. აღნიშნულ მოსაზრებას შესაძლოა ამაგრებდეს საგვარჯილესა და თეთრ მღვიმეში აღმოჩენილი მასალები. მით უმეტეს, რომ ხარის კულტთან დაკავშირებული მასალები უკვე ცნობილია ამ ძეგლებიდან (სურ. 9).

ამგვარად, მღვიმე საგვარჯილის გვიანენეოლითური ნამოსახლარის ახალმიკვლეული მასალების შესწავლამ (რაც შესაძლებელი გახდა საგვარჯილის საველე დოკუმენტაციის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებისადმი გადაცემის შემდეგ) შუქი მოჰფინა დასავლეთ საქართველოს უძველესი ტომების რელიგიური რწმენების ზოგიერთ საკითხებს.

როგორც აღვნიშნეთ, საგვარჯილის ახალმა მასალებმა და მათმა პარალელებმა – სამარხებში ჩატანებულმა და საკულტო კერასთან ნაპოვნმა კვირისტავებმა და გახვრეტილმა მრგვალმა წრეებმა ე. წ. ,,ბორბლის იმიტაციებმა“ (ტაბ. XXIV, 1,3) – არქეოლოგიურად დაასაბუთეს სვანეთის ეთნოგრაფიული მასალების მონაცემები: რომ ეს საკულტო ნივთები ასტრალური ღვთაების – მზისადმია შეწირული [1, გვ. 19 ; 5, გვ. 156], რომ ენეოლითის ხანის საქართველოში სოლარულ კულტთან ერთად გარკვევით იკვეთება ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ღვთაების კულტი [5, გვ. 157]. ,,მკვდრის მზისა“ და მიცვალებულთა კულტის მჭიდრო კავშირი ნაყოფიერებასთან ი. სურგულაძეს ავარაუდებინებს, რომ ბედის დამწერი და სულეთის საქმეთა განმგებელი ღვთაებები გარკვეულად დაკავშირებული უნდა ყოფილიყვნენ ნაყოფიერების ძალებთან. ძველი აღმოსავლეთის რელიგიური შეხედულებების მიხედვით ბუნების ნაყოფიერების თუ მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებები ხშირად ატარებენ ხთონიურ ხასიათს, ან პირდაპირ მიცვალებულთა ღვთაებად გვევლინებიან [10, გვ. 32]. შესაძლოა სწორედ ამაში მდგომარეობდეს კვირისტავების სამარხებში ჩატანების საკრალური აზრი.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ სულ ახლახანს არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოჩნდა სრულიად განსხვავებული, მეტად საინტერესო ცდა კვირისტავის სემიოტიკური სტატუსის ინტერპრეტაციისა მტკვარ-არაქსელთა დაკრძალვის რიტუალში [12, გვ. 23], რომელიც უნდა ვიფიქროთ კიდევ უფრო შეავსებს ჩვენს ცოდნას ამ პერიოდის რელიგიური რწმენების შესახებ.

ლიტერატურა:

1. ბარდაველიძე ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941.
2. კალანდაძე კ. თეთრი მღვიმე, თბ., 1994.
3. კვიციანი ი. სვანური დღეობა ჯგირვანაშობა, ძეგლის მეგობარი, № 34, 1974.
4. კიკვიძე ი. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, თბ., 1972
5. კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976.
6. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი ,,საგვარჯილე", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 14, 9, თბ., 1953.
7. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. ძევრის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე დღიური №5 1952 წ. ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.
8. მირცხულავა გ. სამშვილდე, თბ., 1975.
9. ნებიერიძე ლ. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, თბ., 1978.
10. სურგულაძე ი. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986.
11. ფხაკაძე გ. ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963.
12. შანშაშვილი ნ. კვირისტავის სემიოტიკური სტატუსი მტკვარ-არაქსელთა დაკრძალვის რიტუალში, ძიებანი №1, 1998.
13. ჩუბინიშვილი ტ. ამირანის გორა, თბ., 1963.
14. ჯავახიშვილი ალ., ღლონტი ლ. ურბნისი I, თბ., 1962.
15. ჯავახიშვილი გ. დასავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1971.
16. Бибиков С. Н. Поселение Лука-Врублевецкая, МИА № 38, М., 1953.
17. Гиджрати Н. И. Новые даные о каменном веке Северной Осетии, Новые материалы по археологии Центрального Кавказа Орджоникидзе. 1981.
18. Формозов А. А. Каменный век и энеолит Прикубанья, М., 1965.
19. Мунчаев Р.М. Кавказ на заре бронзового века, М., 1975.
20. Чубинишвили Т. Н. К древней истории южного Кавказа, Тб., 1971.
21. Чубинишвили Т. Н., Гогелия Д. Д. Краткий отчет квемо картлиискоЙ археологической экспедиции, ПАИ в 1978г., Тб., 1981

თავი V

საგვარჯილის ენეოლითის პერიოდიზაცია-ქრონოლოგიის საკითხისათვის

დასავლეთ საქართველოს ენეოლითური კულტურის შესწავლას ხანმოკლე ისტორია აქვს. 60-იანი წლებისათვის ამ რეგიონში საერთოდ არ არსებობდა ენეოლითური კულტურის ძეგლები. ამ პერიოდის ორიოდე ნამოსახლარი – თეთრამიწა და საგვარჯილე ნეოლითისადმი იყო მიკუთვნებული, რომელთა საშუალებით ხასიათდებოდა ნეოლითის შუა [3, გვ. 262-264] და გვიანი საფეხურები [4, გვ. 56]. აღნიშნული ძეგლების თარიღი მალე დამკვიდრდა არქეოლოგიურ ლიტერატურაში, რომელსაც ხშირად იყენებდნენ შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის დროს, განსაკუთრებით მტკვარ-არეზის კულტურის ფესვების ძიებისას. იმხანად, მთლიანად ენეოლითურად ითვლებოდა აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული მტკვარ-არეზის კულტურა, ხოლო დასავლეთ საქართველოში ენეოლითურად იყო მიჩნეული ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები (დაბლაგომი, ოჩამჩირე და სხვ.). ანალოგიური მდგომარეობა იყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში (ახშთირი I, ვორონცოვის მღვიმეები) და ჩრდილო კავკასიაში (დოლინსკოეს და აგუბეკოვის ნამოსახლარები) ამ რეგიონების ენეოლითური ძეგლები ნეოლითისადმი იყო მიკუთვნებული.

აღნიშნულის გამო, ენეოლითური კულტურის ხასიათი და მისი გენეტიკური კავშირი წინარე კულტურასთან ბუნდოვანი იყო. მტკვარ-არეზის კულტურის ძეგლებში კი არ ჩანდა ის ნიშნები, რომლებიც შეიძლებოდა მიგვეჩნია ნეოლითური კულტურის ტრადიციების გაგრძელებად.

დასავლეთ საქართველოში 50-იანი წლების შუა ხანებამდე ტიპიური ნეოლითური ძეგლებიც სულ ორიოდე იყო (ოდიში, კისტრიკი). ცნობილი იყო აგრეთვე ცალკეულ ნივთთა აღმოჩენები.

50-იანი წლების შუა ხანებიდან დასავლეთ საქართველოში დაწყებულმა ინტენსიურმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა ნეოლითური ძეგლების მთელი ჯგუფი (ანასეული I, II, გურიანთა, მამათი, კინტრიშის ნამოსახლარები და სხვ.), მათ შორის ნეოლითის სხვადასხვა საფეხურისა. მას შემდეგ შესაძლებელი გახდა ნეოლითური კულტურის დახასიათება და განზოგადება [6, გვ. 67-89]. გარკვევით გამოიკვეთა ნეოლითური კულტურის ზოგადი და კონკრეტული მახასიათებლები და გამოიყო კიდეც ლოკალური ვარიანტები [6, გვ. 89-93]. მაშინვე შესაძლებელი გახდა ნეოლითურად მიჩნეული საგვარჯილის II ფენის კომპლექსის ახალი ქვის ხანის ძეგლებთან შედარება და მისი ქრონოლოგიური ადგილის განსაზღვრა. ჩატარებული დეტალური შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად გაირ-

კვა, რომ საგვარჯილის კომპლექსი თავისი ზოგადი და კონკრეტული მახასიათებლებით ვერ თავსდებოდა ნეოლითური კულტურის სტადიალურ ჩარჩოში. მისი მახასიათებლების შედარებისას ერთის მხრივ დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლების ჯგუფთან, მეორე მხრივ კი ენეოლითურად მიჩნეულ ადრებრინჯაოს ხანის კომპლექსებთან ნათელი გახდა, რომ ის უფრო ახალგაზრდაა პირველებზე, ხოლო მეორეებს კი ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა.

აღნიშნული კვლევის ჩატარების საფუძველზე ნეოლითურად მიჩნეული საგვარჯილე II-ის კომპლექსი გადათარიღდა და ენეოლითურ კულტურას მიეკუთვნა [4, გვ. 12-13; 2, გვ. 76-84; 6, გვ. 84-88]. ეჭვი აღნიშნული ძეგლის ნეოლითური თარიღისადმი ადრეც არა ერთხელ იყო გამოთქმული [13; 15; 17].

აქ განმეორებით ვუბრუნდებით ამ საკითხს, რადგან მღვიმე საგვარჯილის ენეოლითური ფენის მასალის მონოგაფიული შესწავლა მოითხოვს ამას. ამასთანავე დღესდღეობით შესაძლებლობა მოგვეცა ამ კომპლექსის უფრო დეტალური განხილვისა.

დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითის შედარებითი და აბსოლუტური ქრონოლოგია, მისი პერიოდიზაცია ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი საკითხია. მისი სირთულე განპირობებულია წყაროთმცოდნეობითი ბაზის სიღარიბით და ფართო ქრონოლოგიური განზოგადებებისათვის არასაკმარისი არქეოლოგიური კვლევის მასშტაბით, სტრატიფიცირებული ნასახლარებისა და სამაროვნების არარსებობით და ნახშირბადული (14C) თარიღების სიმცირით. დასავლეთ ამიერკავკასიის არც ერთი ღია ენეოლითური ნამოსახლარი არ არის არქეოლოგიურად სრულყოფილად შესწავლილი, უმეტესობა ზედაპირული მასალითაა წარმოდგენილი (თეთრამიწა, ახალსოფელი) მღვიმური ენეოლითური ძეგლებიც თითო-ოროლაა შესწავლილი.

საგვარჯილის ქრონოლოგიისა და პერიოდიზაციის საკითხის კვლევისას ვეყრდნობით მასალის სტრატიგრაფიულ და ტიპოლოგიურ ანალიზს და ამასთანავე ვიყენებთ ენეოლითური ძეგლების ნახშირბადულ (14C) თარიღებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მღვიმე საგვარჯილეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩნდა სხვადასხვა დროის (პალეოლითი-ენეოლითი) კულტურული ფენები. რომელთა საერთო სიმძლავრე 14 მეტრს აღწევდა. [1, გვ. 573; 4, გვ. 563-566; 3, გვ. 56]. მეორე ფენამ (ზევიდან) მოგვცა მეტად მეტყველი და მრავალრიცხოვანი ენეოლითური კომპლექსი, რომლის წამყვანი ტიპიური მასალა ტაბულებზეა მოცემული.

როგორც სტრატიგრაფიისადმი მიძღვნილ თავში იყო აღნიშნული ენეოლითური ფენა უძრავი სახით შემოინახა მხოლოდ II თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ნ. კილაძეს (ბერძენიშვილი) ეს მონაკვეთი მიაჩნდა ყველაზე სანდოდ სტრატიგრაფიის აღსადგენად. ამიტომ სტრატიგრაფიული ანალიზისათვის მონაცემები სწორედ ამ თხრილიდან მოგვაქვს. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ძეგ-

ლის გამთხრელი თავის დღიურებსა და ანგარიშებში (ხელნაწერი) არა ერთხელ აღნიშნავდა გათხრების დროს შენიშნულ, ენეოლითური ფენის მიერ წინარე ფენების ჩაჭრის ფაქტს.

II თხრილის II ფენის (ჭრილებში მე-5) ჩრდილო კედლის ჭრილიდან (IV-IV), რომელშიც ყველაზე უკეთ იყო შემონახული კულტურული ნაშთები, კარგად იკითხება, ამ ფენაში გამოვლენილი ორი თიხატკეპნილი იატაკი. პირველი (25 სმ სისქისა) მდებარეობდა 1,65 მ სიღრმეზე (მე-11–მე-13 ნიშნულებს შორის) და ეჭირა 3 მ სიგრძის ფართობი. მეორე იატაკი (30 სმ სისქისა) 25 სმ-ით უფრო დაბლა მდებარეობდა პირველზე (მე-10–მე-15 ნიშნულებს შორის) და 5 მეტრი სიგრძის ფართობი ეჭირა. ე. ი. იატაკებს შორის კულტურული ფენა 25 სმ უდრიდა. მეორე იატაკი იწყებოდა 1,8 მ სიღრმეზე, ე. ი. ქვედა დონე უნდა ვივარაუდოთ 2,1 მ-ის ქვემოთ.

II ფენის საერთო სისქე ჭრილების მიხედვით 2,5–2,7 მ–ს შორის მერყეობს და სულაც არ იყო 3,1 მ მოტკეპნილი იატაკების ფარგლებში, როგორც ეს აღნიშნულია ანგარიშებში. II ფენის ქვედა ნაწილი ჩაჭრილი ჩანს 3,5 მ სიღრმემდე ე. ი. 80 სმ–ით წინარე ფენებში (მე-4 და მე-7 ფენები).

მეორე იატაკის დასავლეთ ბოლოში (მე-16-18 ნიშნულებს შორის) II ფენიდან ჩაჭრილი ჩანს ორი ორმო მის ქვეშ მდებარე ფენაში (ჭრილების მიხედვით მე-4 ფენა), რომელთა ძირი ჩადის მეზოლითის ფენის (ჭრილში მე-7 ფენა) ზედა ნაწილში, რისი შედეგიც უნდა იყოს ენეოლითური ფენის ქვედა დონის კომპლექსში წინარე ეპოქებისათვის (ნეოლითი – მეზოლითი – ზედა პალეოლითი) დამახასიათებელი მასალის შერევა. აქ გვხვდება ტიპიური გვიანზედაპალეოლითური და მეზოლითური იარაღები (საფხეკები, გრავეტის ტიპის მიკროწვეტანები, მიკროდანები და სხვ.), რომლებიც მრავლადაა სახელმწიფო მუზეუმის საგვარჯილის კოლექციაში. მათი ნაწილი მოცემულია წინამდებარე ნაშრომის ტაბულებზე (ტაბ. XXVII-XXIX).

ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) II ფენის ძირითად მასალას ნეოლითით, ხოლო მის ზედა ნაწილში აღმოჩენილს ენეოლითია ეპოქას აკუთვნებდა [4, გვ. 56]. როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ეს მოსაზრება წინასწარული იყო და არ ემყარებოდა მასალის გამოწვლილვით შესწავლას.

უკანასკნელ ხანებში ნ. ბერძენიშვილმა (კილაძე) შეიცვალა მოსაზრება და I იატაკს ზედა და ქვედა ჰორიზონტების გამყოფად მიიჩნევდა. ქვედას აკუთვნებდა ნეოლითს, ზედას კი ენეოლითს. ამ ფენის გაყოფის საფუძვლად მას იატაკთან ერთად სპილენძის ნივთები მიაჩნდა, რომლებიც თითქოს მხოლოდ 1,6 მ სიღრმეზე ე. ი. მოტკეპნილი იატაკის დონეზე აღმოჩნდა. სინამდვილეში კი I იატაკის დონეზე ე. ი. 1,6 მ აღმოჩნდა მხოლოდ ერთადერთი ლითონის მრგვალგანივკვეთიანი ღერო (შესაძლოა სადგისი). ანკესები აღმოჩნდა უფრო ღრმად, იატაკის ქვემოთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, II თხრილში და საერთოდ მთელ მღვიმეში სულ 9 ლითონის ნივთია ნაპოვნი. მათგან ყუნწჩახვეული ანკესი (1-55-809) აღმოჩნდა

მღვიმის ზედაპირიდან 0,60 მ სიღრმეზე, ლითონის მრგვალგანივკვეთიანი ღერო (1-55-815) – 1 მეტრის სიღრმეზე და ოთხწახნაგა სადგისი (თუ ისრისპირი) (1-55-810) – 1,40 მ სიღრმეზე. დანარჩენი ექვსი ნივთი აღმოჩნდა მოტკეპნილი იატაკის დონის ქვემოთ. კერძოდ: მეორე ყუნწჩახვეული ანკესი (1-55-808) აღმოჩნდა 2,10 მ სიღრმეზე, მესამე ყუნწმოხრილი (1-55-807) კი – 2,60 მ სიღრმეზე; ლითონის ოთხწახნაგა სადგისი (1-55-811) აღმოჩნდა 1,90 მ სიღრმეზე; მრგვალგანივკვეთიანი 2 ღერო აღმოჩნდა 2,25 მ და 2,30 მ სიღრმეებზე. ე. ი. ნეოლითურად მიჩნეულ ფენაში. ამავე დონეზე ბევრია ორმხრივდამუშავებული სხვადასხვა ფორმის კაჟის შუბისპირი. II თხრილში აღმოჩენილი 13 შუბისპირიდან 10 აღმოჩენილია 2 მეტრის სიღრმეზე და მის ქვემოთ. კერძოდ: 2,15 მ; 2,20 მ; 2,35 მ; 2,45 მ; 2,50 მ; 2,60 მ და 2,70 მ სიღრმეებზე. ასევე ისრისპირები ნაპოვნია 2,2 მ-სა და 3 მეტრის სიღრმეზეც.

II თხრილში ნაპოვნი სხვადასხვა ფორმის სამაჯურების 20 ფრაგმენტიდან 15 ცალი მოტკეპნილი იატაკის დონის ქვემოთაა ნაპოვნი (2,2 მ; 2,5 მ; 2,7 მ; 2,8 მ სიღრმეებზე).

II თხრილში ნაპოვნი 20 კვირისტავიდან 13 ცალი მოტკეპნილი იატაკის დონის ქვემოთაა აღმოჩენილი (შესაბამისად 2 მ; 2,3 მ; 2,5 მ; 3 მ (ორი ცალი) სიღრმეებზე).

II თხრილის ქვედა (D) დონეზე, 2,70 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ენეოლითისათვის ტიპიური ტანდასვრეტილი ჭურჭლის ფრაგმენტები.

მოტანილი სტრატიგრაფიულ-სტატისტიკური ანალიზიდან ირკვევა, რომ ,,ნეოლითურ'' ჰორიზონტზე ლითონის ნივთები და ტიპიური ენეოლითური მასალაა აღმოჩენილი. ,,ნეოლითურად'' ცნობილი მასალის 90 % მეტი სინამდვილეში გაცილებით ახალგაზრდაა და ენეოლითურ ხანას განეკუთვნება [2, გვ.76-84].

მასალის სტრატიგრაფიულ-სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ იატაკების დონეებზე აღმოჩენილ ინვენტარში განსხვავება არ იყო. ამიტომ საგვარჯილის II ფენაში სამი ჰორიზონტის გამოყოფა [7, გვ. 35-37] ხელოვნურად გვეჩვენება. უფრო მართებული იქნება თუ ამ ფენას II თხრილის მონაცემების (სტრატიგრაფიული და ტიპოლოგიური) საფუძველზე ორ დონედ გავყოფთ: I – ზედა A დონე (მოტკეპნილი იატაკების ზემოთ მდებარე) – გვიანენეოლითური ხანის ადრეული მტკვარ-არეზული კერამიკის შერწყმით – II – ქვედა B დონე (მოტკეპნილი იატაკების ქვემოთ მდებარე) – ენეოლითური ჰორიზონტი წინარე ეპოქების მასალების მინარევით.

რაც შეეხება I მოტკეპნილი იატაკის ზედა დონეს იგი ძირითადად ხასიათდება გვიანენეოლითური კერამიკით (იხ. § 2) და ქვის მასალით (იხ. § 1). ამასთანავე II ფენის ზედა ნაწილში, სტრუქტურულად ერთგვაროვან ფენაში, გვიანენეოლითურ მასალასთან ერთად ნაპოვნია ადრეული მტკვარ-არეზული კერამიკის ფრაგმენტები – ნახევარსფეროვანი ყურით და მხრიდან კორპუსზე გარდამავალი წიბოთი.

კერამიკის მოტანილი დახასიათებისა და დანარჩენი მასალის (ქვა, ძვალი, ლითონი) გათვალისწინების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ საგვარჯილის ენეო-

ლითური ფენის ზედა A დონე (I იატაკის ზემოთ) ძირითადად ფინალური გვიანეოლითიდან ადრებრინჯაოზე გარდამავალი ხანისაა.

სტრატიგრაფიის საფუძველზე მიღებულ დასკვნებს ასაბუთებს აგრეთვე საგვარჯილის II ფენის კომპლექსის შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლაც.

საგვარჯილე II-ის ქვის ინდუსტრიის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების ხმარებიდან გამოსვლა, რაც ახასიათებს ადრელითონების (ენეოლითი, ადრებრინჯაო) ხანის ძეგლებს. ქვის დამუშავების მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის მიკროიარაღები ერთ-ერთ მთავარი დამახასიათებელი ნიშანია დასავლეთ ამიერკავკასიური ნეოლითური ძეგლებისა. ნიშანდობლივია, რომ საგვარჯილეს მეზოლითურ ფენას მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმები (სეგმენტები) ახასიათებს. ცხადია, II ფენის კომპლექსში გეომეტრიული მიკროლითების არ არსებობა ამ კომპლექსის ქრონოლოგიური ადგილის მაჩვენებელია. ზოგჯერ თითი-ოროლა გეომეტრიული მიკროლითი გადმონაშთის სახით კიდევ არსებობს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ენეოლითურ ნამოსახლარზე. (სამელე კლდე, დარკვეთი), ხოლო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მეშოკოს ნამოსახლარზე მათი რაოდენობა შედარებით მეტია.

საგვარჯილის კაჟის იარაღებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მრავალგვარ შუბისპირებსა და ისრისპირებს. ეს ნიშანი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან ნეოლითურ კომპლექსებში ან საერთოდ არ გვხვდება აღნიშნული იარაღები, ან გვხვდება თითო-ოროლა და ისიც ზედაპირულად მოპოვებული. შუბისპირებისა და ისრისპირების სიმრავლე კი სწორედ ადრელითონის ხანის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. საგვარჯილე II-ის შუბისპირები და ისრისპირები, ისევე, როგორც ენეოლითური ხანის სხვა იარაღები დამზადებულია ანატკეცებზე, ორმხრივი წნევითი რეტუშის ტექნიკით.

კოლექციაში კაჟის ერთადერთი დაკბილული ნამგლისპირია ორმხრივდამუშავებული წნევითი რეტუშით. იგი ნაპოვნია II ფენის ზედა დარღვეულ ნაწილში. საერთოდ დასავლეთ საქართველოს მღვიმეების ენეოლითურ ფენებს ამგვარი იარაღები არ ახასიათებს. მსგავსი იარაღები უცნობია კავკასიის, წინა და შუა აზიის ნეოლითური ძეგლებისათვის. ნეოლითის ხანაში მის ფუნქციას ასრულებდა სწორწახნაგა ლამელა, რომელიც სამკელი დანების ჩასართად იხმარებოდა. კაჟის ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირები არ ახასიათებს აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა (შულავერ-შომუთეფეს კულტურა) და წინა აზიის (ჰასუნა, სიალკი) ადრესამიწათმოქმედო ძეგლებსაც. ისინი გვხვდება დასავლეთ საქართველოს ღია ენეოლითურ ნამოსახლარებზე და მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებში. ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ ეს ერთადერთი ნამგლისპირი უნდა განვიხილოთ მღვიმის მტკვარ-არაქსულ ელემენტებთან ერთობლიობაში.

საგვარჯილის კაჟის ინდუსტრიას სხვა დამახასიათებელი ნიშნებიც გააჩნია. იარაღების დიდი ნაწილი დამზადებულია ანატკეცებისგან, ორმხრივი წნევითი რეტუშის მეშვეობით, ნეოლითურ ძეგლებზე კი იარაღების უმეტესობა კაჟის ვი-

წრო, თხელ სწორწახნაგა ლამელებზეა ჩამოყალიბებული. ,,მცოცავი'' რეტუში მათზე თითქმის არ გვხვდება.

საგვარჯილე II-ის რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები, ფორმით განსხვავდებიან ნეოლითურისგან. მათში წამყვანი ადგილი უჭირავს ტრაპეციებსა და სამკუთხედის განივკვეთის მქონე, მომაღლო სატეხ-სათლელებს. ცულების რაოდენობა შედარებით ნაკლებია. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებში კი პირიქით, წამყვანი ადგილი ცულებს ეკუთვნის.

საგვარჯილის რიყის ქვის იარაღების დიდი ნაწილი ცალპირლესილია, ე. ი. არანეოლითური ფორმის. ცალპირლესილი ცულები ნეოლითურ ნამოსახლარებს არ ახასიათებს. II ფენის კომპლექსს ახასიათებს მოგრძო, ოვალური ფორმის ხელსაფქვავის ქვები. ისინი გვხვდება დასავლეთ ამიერკავკასიის ადრეელითონის ხანის ძეგლებში (დარკვეთი, თეთრამიწა, ჩიხორი, ახშთირი, ,,ოჩაჟნი''). ნეოლითში ძირითადად იყენებდნენ ოთხკუთხა ან განიერ მოგრძო, ზოგჯერ მომრგვალო ფორმის ბუნებრივ ბრტყელ ქვებს (ოდიში, ანასეული II, გურიანთა). ლ. სოლოვიოვი მსგავსებას ხედავდა საგვარჯილისა და ვორონცოვის მღვიმეების რიყის ქვის იარაღებს შორის [16, გვ. 140].

საგვარჯილეს II ფენის კომპლექსს დიდი რაოდენობით ახასიათებს კვირისტავები. ჯერჯერობით, დასავლეთ კავკასიის ნეოლითურ ძეგლებზე არც ერთი კვირისტავი ნაპოვნი არ ყოფილა. არ გვხვდება ისინი არც სამხრეთის ნეოლითურ კულტურებში. დასავლეთ კავკასიაში, საერთოდ მთელ ამიერკავკასიაში და წინა აზიაში კვირისტავები ენეოლითის ხანაში ჩნდება.

აღსანიშნავია კიდევ ერთი არსებითი ელემენტი საგვარჯილის კომპლექსისა. ესაა ქვისა და თიხის სამაჯურების ფრაგმენტები. დასავლეთ კავკასიის ნეოლითურ ნამოსახლარებზე სამაჯურები არ გვხვდება. მათი გამოჩენა ადრეელითონის ხანას ემთხვევა. დიდი რაოდენობით გვხვდება ისინი დასავლეთ ამიერკავკასიისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ადრეელითონის ხანის სხვადასხვა საფეხურის ნამოსახლარებზე (დარკვეთი, სამერცხლე კლდე, საქაჯია, თეთრამიწა, ,,ოჩაჟნი'', მეშოკო, სკალა, ვესიოლი, კამენომოსტსკაია და სხვ.). ქვის სამაჯურები ნეოლითის ხანაში ჯერჯერობით მხოლოდ ჯარმოდანაა (ერაყი) ცნობილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯარმოს სამაჯურებიანი კომპლექსი, ძვ. წ. VI ათასწ. თარიღდება.

აქ ჩვენ განვიხილეთ საგვარჯილის ,,ნეოლითით'' დათარიღებული II ფენის კომპლექსის მთავარი დამახასიათებელი ელემენტები, რომლებიც გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში ექცევა და არსებითი მნიშვნელობა აქვთ ძეგლის დათარიღებაში. როგორც შედარებით-ტიპოლოგიურმა ანალიზმა გვიჩვენა კომპლექსი ტიპიური ენეოლითური არტეფაქტებითაა წარმოდგენილი, რომ საგვარჯილეში გვაქვს ყველა ის ნიშანი, რაც დამახასიათებელია ენეოლითური კულტურისათვის.

საგვარჯილე II-ის კომპლექსი ასე დეტალურად იმიტომ განვიხილეთ, რომ იგი იყო დასავლეთ ამიერკავკასიის მღვიმური ენეოლითური კულტურის პირველი ძეგლი, რომლის თარიღი დიდხანს სადავო იყო. ამას გარდა, მისი თარიღის საბოლოო დადგენას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მის შემდგომ აღმოჩენილი ამავე კულტურის ძეგლების დათარიღებაში.

დასავლეთ საქართველოს მღვიმური ენეოლითური ძეგლების რადიონახშირბადული (14C) თარიღები ჯერჯერობით ცოტა გვაქვს. საყურადღებოა ძუძუანას მღვიმის (ჭიათურის რ-ნი) ზედა ფენის შესწორებული რადიონახშირბადული (14C) თარიღი : ND-315 4366±217; ე. ი. ძვ. წ. V ათასწლეულის ბოლო საუკუნეები. ძუძუანა გვიანენეოლითური ძეგლია, ამიტომ უფრო ადრეული ენეოლითური ძეგლების თარიღი ძვ. წ. V ათასწლეულის სიღრმეში გადაიწევს.

მღვიმური ენეოლითური ნამოსახლარების დასათარიღებლად მნიშვნელოვანი მასალა მოგვცა აგრეთვე დარკვეთის ეხმა. მასში გარკვეული მონაკვეთის I-III ფენებში ჩაშვებული იყო მტკვარ-არეზის კულტურის ადრეული პერიოდის სამარხები, რომელთა კერამიკას ანალოგები მოეპოვება ღრმახევისთავის, თრელის და თეთრწყაროს ადრეულ კერამიკაში [10, გვ. 25-31], დარკვეთის I ფენა კარგად თარიღდება ,,თევზიფხური'' ორნამენტის მქონე ფრაგმენტებით, რომლებსაც ზუსტი პარალელები გააჩნია ოქუმისა [8, გვ. 68-75] და ახშთირის მღვიმეების ენეოლითურ ფენებში და აგრეთვე ჩაქვის ენეოლითურ ღია ნამოსახლარში [11, გვ.11]. ამ ფრაგმენტებს აახლოვებს არა მარტო ორნამენტი, არამედ კეცის ფაქტურაც. აღნიშნული ფენის გვიანენეოლითურ თარიღს ადასტურებს აგრეთვე კაჟის ტირიფის ფოთლის მოყვანილობის ორმხრივდამუშავებული ფუძემორკალული შუბისპირი და ფიქალის თხელი სამაჯური.

საგვარჯილის ენეოლითური ნამოსახლარის ქვის ინდუსტრია იარაღთა ტიპოლოგიით, დამუშავების ტექნიკით და აგრეთვე კომპლექსის დანარჩენი ელემენტებით (კერამიკა, სამაჯურები, კვირისტავები და სხვ.) ახლო ანალოგებს პოულობს დარკვეთისა და განსაკუთრებით ძუძუანას გვიანენეოლითურ კომპლექსთან, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, შესწორებულ ნახშირბადულ თარიღებზე დაყრდნობით ძვ. წ. V ათასწ. II ნახევრით თარიღდება. აქედან გამომდინარე საგვარჯილის გვიანენეოლითური კომპლექსი ზოგადად შესაძლოა ძვ.წ. V ათასწ. II ნახევრით დათარიღდეს.

